ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1989 წლის მაისიდან
. აქვეყნება თვეში ერთხელ

№ 1 (8)

13 იანვარი, 1990 წ.

„ მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს..."

# ქართული დროშა

თავისუფალი გამოცემა

# მიმართვა ქართველი ერისადმი!

## მამულიშვილნო!

ღვთისმშობელ წილხვედრ იბერიის ძენო და ასულნო!

უსაყვარლესო დანო და ძმანო!

ქართველი ერის ისტორიაში დგება ჟამი, როდესაც ერმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას დიდი ისტორიული მისიის განსახორციელებლად. ეს მისია მდგომარეობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და საკაცობრიო არსებობის რეალურ სტრუქტურაში - თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული და ძლიერი საქართველოს დამკვიდრებაში.

ქართველი ერის თვითმყობადობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე შორეულ ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს. ქრისტეშობამდე ოთხასი წლით ადრე ფარნავაზ მეფის წინამძღოლობით დაფუძნებულ იქნა პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო და მას შემდეგ მთელი 22 საუკუნის განმავლობაში ღმერთის, მეფისა და მამულისათვის ბრძოლა წარმოადგენდა ყოველდღიურ ცხოვრებას ჩვენი ერისას. მრავალსაუკუნოვანი ისტორიული არსებობის მანძილზე დანთხეული სისხლით ქართველმა ერმა დღემდის მოიტანა თავი ჭეშმარიტი სარწმუნოებით, უნიკალური კულტურითა და შესანიშნავი ტრადიციებით. ეს ყოველივე გვავალებს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს, რადაც არ უნდა დაჯდეს, წმინდა სამსხვერპლოზე ზვარაკად მისვლით, ერთხელ და სამუდამოდ გავანთავისუფლოთ რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილი ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო.

1990 წლის 5 იანვარს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს მონარქისტული პარტიის ინიციატივით მანიფესტანტების მიერ აღებულ იქნა რკინა-ბეტონის მესერი და მთავრობის სახლის წინ დაიწყო მჯდომარე აქცია - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ნ ო! მოგიწოდებთ უკომპრომისო, შეურიგებელი ბრძოლისაკენ.

მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ:

ა) საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და წყობილების გაუქმებას;

ბ) რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების მიერ - საქართველოს ტერიტორიის დატოვებას;

გ) საქართველოში დემოკრატიული ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სპეციალური მისიებისა და დელეგაციების ჩამოსვლას;

დ) საყოველთაო დემოკრატიული კენჭისყრით ნამდვილი ეროვნული მთავრობის არჩევას.

ჯვაროსნული ომი კომუნიზმს!

წინ თავისუფლებისაკენ!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

05.01.90.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის,
საქართველოს მონარქისტული პარტიის,
წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით:

ირაკლი წერეთელი
ირაკლი ბათიაშვილი
თეიმურაზ სუმბათაშვილი
თემურ ჟორჟოლიანი
გიორგი ხონელიძე
იოსებ ბარათაშვილი
რობერტ ბირკაია
რუსლან მიქაბერიძე
გურამ გოგბაიძე
თედო პაატაშვილი

# სკკპ ცკ პოლიტბიუროს

საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციათა 06.01.90.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ:

1990 წლის 5 იანვარს საქართველოში დაიწყო აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

ვინაიდან საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ყველა პროვოკაციის, მათ შორის ეთნოკონფლიქტების ინსპირატორი კრემლია;

ვინაიდან ადგილობრივი მარიონეტული მთავრობა უძლურია რამე გადაწყვიტოს;

ვინაიდან ადგილობრივი ხელისუფლება არის არა მარტო უკანონო, არამედ ფიქტიური;

ვინაიდან კრემლის ხელისუფლება უკანონოა, მაგრამ რეალური

მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ:

1. სკკპ ცკ პოლიტბიუროს წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ ჩამოსვლას თბილისში მოლაპარაკების საწარმოებლად იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, რომლებიც დღემდე არ არიან აღიარებულნი კრემლის მიერ როგორც ჩვენი ერის, მთელი საქართველოს ნების ჭეშმარიტი გამომხატველნი;

2. მოეწყოს ტელევიზიით ამ მოლაპარაკების ტრანსილაცია. მოლაპარაკების შედეგები გამოქვეყნებულ იქნას ოფიციალურ პრესაში.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აქცია მიმართავს უკიდურეს პოლიტიკურ (მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან) ფორმებს, რათა მთელს მსოფლიოს წარმოუჩინოს ამ ბოროტების იმპერიის ჭეშმარიტი არსი, მისი დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით მოითხოვს დამოუკიდებლობის აღდგენას.

*ღმერთი არის ჩვენთან!*

*ბოლომდე ვიბრძოლებთ თავისუფლებისათვის, სიმართლისათვის, იმისათვის, რაც ჩვენ უფალმა მოგვანიჭა და კომუნისტური რეჟიმის სატანურმა ძალამ ხელიდან გამოგვგლიჯა!*

*ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია: თორნიკე ჭიჭია, ირაკლი წერეთელი;*
*მონარქისტული პარტია: თემურ ჟორჟოლიანი, გიორგი ხონელიძე;*
*ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: ირინა სარიშვილი, გიორგი ჭანტურია, ვანო ჩუხუაშვილი;*
*ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი: ირაკლი კაკაბაძე, შალვა ნასაძე;*
*მიტინგზე შეუერთდა — ეროვნული ღირსების ჯგუფი: გიზო კორძაძე, თენგიზ ცირამირჯია.*

## მ ო შ ი მ შ ი ლ ე თ ა ს ი ა

საქ.ეროვნ.დამოუკ.პარტია:

1. ირაკლი წერეთელი
2. რობერტ ბირკაია
3. დავით ჯანელიძე
4. ბონდო ხახიშვილი
5. მურმან როხვაძე
6. დათო გელაშვილი
7. მიშა მამუჩიშვილი
8. მამუკა ვარდოსანიძე
9. გელა კაპანაძე
10. თემურ ლომჯარია.

წმ.ილია მართალის საზ-ბა:

11. გურამ გოგბაიძე
12. მალხაზ გედევანიშვილი
13. გიორგი სესიაშვილი
14. ოთარ ტომარაძე
15. ბორის ლიპარტელიანი
16. მირიან კაკოიშვილი
17. მამუკა კაპანაძე
18. შალვა არჯევანიძე
19. დათო სიხარულიძე
20. გივი მანაგაძე

მონარქისტული პარტია:

21. გიორგი ხონელიძე
22. თემურ ჟორჟოლიანი
23. სოსო ბარათაშვილი
24. ზვიად ბოკუჩავა
25. იოსებ ხონელიძე
26. ანზორ ფერქიაშვილი
27. ანდრო ჭელიძე
28. ზაზა მეტრეველი
29. ზურაბ მახაშვილი
30. კახა სხირელი

ეროვნ.დემოკრ.პარტია:

31. გიორგი ჭანტურია
32. ვანო ხუხუნაიშვილი
33. ზაზა ტურაბელიძე
34. სოსო ქარქაშაძე
35. ირინა სარიშვილი
36. გია მჭედლიძე
37. ვახო როსტიაშვილი
38. კოჩა აიზიანიძე
39. ლაშა ქართველიშვილი
40. შალვა ჩხაიძე
41. დათო კანკია

დემოკრატიული პარტია:

42. თენგიზ შარმანაშვილი
43. ვახტანგ ტალახაძე
44. ალეკო ჩიტაძე
45. ტარიელ ტარიელაშვილი
46. ნიკო გონაშვილი
47. ვასილ ჭყოიძე
48. მერაბ ბეგიაშვილი
49. ვაჟა მირიანაშვილი
50. ზეზან ჭუბაბრია
51. ბადრი დიდებაშვილი

9 იანვარს შეუერთდნენ:

52. ოთარ წერეთელი
53. ირაკლი მელაშვილი

სახელმწ.აღორძინების პარტია:

54. დავით ონანაშვილი
55. მამია ჩადუნელი
56. ელდარ გოგალაძე
57. მამუკა ცხადაძე
58. ზვიად ჩინჩალაძე

სოციალ-ფედერალ.პარტია:

59. გია ბუმბიაშვილი
60. ალეკო გამგებელი
61. ლევან აკობია
62. კობა კარიაული
63. ბაჩუკი კაცია

ქრისტ.დემოკრ.კავშირი:

64. ბადრი მაჭავარიანი
65. გია ბურჯანაძე
66. ბაჩუკი ვასაძე
67. ზვიად დოლიძე
68. გია მისირელი

* * * * *

დღეისათვის, 1990 წლის 12 იანვრისათვის, მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

### მ ო შ ი მ შ ი ლ ე თ ა

საორგანიზაციო კომიტეტი:

ეროვნ.დამოუკიდ.პარტია

1. ნოდარ ბარამიძე
2. ლადო გოგიაშვილი
3. სოსო სირაძე
4. ამირან გეჯენავა
5. გულადი კიკნაველიძე

მონარქისტული პარტია:

7. დავით კოპალეიშვილი
8. ნოდარ ლაპარტყავა
9. კაკო ასათიანი
10. ლაშა ფაველენიშვილი
11. ვანო შატბერაშვილი

ეროვნ.დემოკრ.პარტია

12. გურამ ჩახვაძე
13. თამაზ იაშვილი
14. გოჩა აბზიანიძე
15. გოგი გოგნიაშვილი
16. დათო კოსტავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მოფრინდა უცხო ფრინველი...“

გთავაზობთ წერილს, რომელიც ოფიციალურმა პრესამაც კი არ გამოაქვეყნა... წერილი შეგნებულად არ ვთარგმნეთ (რისთვისაც „ქართვლის დედას“ რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს), რათა „დედნისეული სიზუსტე“ არ დაგვერღვია.

„იქ არის ჩემი სამშობლო, სადაც პური მაქვს სამყოფად“

რუსული ანდაზა

В РЕДАКЦИЮ ГАЗЕТЫ
"ВЕЧЕРНИЙ ТБИЛИСИ"

УВАЖАЕМАЯ РЕДАКЦИЯ!

Мы, группа русскоязычных жителей Тбилиси, недавно узнали из вашей газеты о существовании "Проекта национального развития ГССР", который был, оказывается, опубликован еще 17 сентября в грузинскоязычной газете "Комунисти", но почему-то русскоязычные газеты, и в том числе ваша газета, его не напечатали. Почему? Разве наша "революционная перестройка" должна была привести в Грузии к дискриминации русскоязычного населения, к исключению его из общественно-политической жизни республики? И о каком же "всенародном обсуждении" (а уже торопятся и ПРИНЯТЬ этот позорный "Проект"!) может идти речь, когда основная масса русскоязычного населения даже не подозревает о существовании этого "тайного" ( для них!) законопроекта, который содержит ряд сугубо националистических положений, узаконивающих привилегии "коренной нации" и ущемляющих права негрузинского населения. По местному радио и телевидению говорилось (с некоторой насмешкой), что "от этого Проекта не откажутся даже самые радикально настроенные организации", что "Компартия Грузии показала, что и КОМПАРТИЯ МОЖЕТ СТОЯТЬ НА СУГУБО НАЦИОНАЛЬНЫХ ПОЗИЦИЯХ!" Говорилось, что это "очень смелый" проект и т.п. Да, слишком смелый, чтобы не сказать больше!

Нас возмущает подобная соглашательская политика руководства нашей республики, которое сдалось без боя "на милость победителя" и безропотно пошло на поводу (надо называть вещи своими именами - такая настала эпоха!) у местных антисоветчиков-националистов. Кстати, выступавший 30 сентября по местному радио президент общества Руставели Акакий Бакрадзе заявил: "Мы разработали эту концепцию национального развития. ... ЭТО НАШ ДОКУМЕНТ!" Да от этого проекта за версту "веет" именно духом Бакрадзе и ему подобных националистов и антисоветчиков! И как же низко должно было пасть руководство Компартии Грузии, чтобы ЗАВИЗИРОВАТЬ этот беспрецедентно-позорный документ, узаконивающий "мирную" ликвидацию в Грузии Советской власти (при внимательном прочтении этого "документа" создается именно такое впечатление!) Оно дошло до того, что заявляет о необходимости "автоматизации" республиканских Компартии, не разбираясь, видимо, в содержании понятий "коммунистический", "коммуна"! "Автономизировать" можно все, что угодно, но только не Компартию! Ведь слово "коммун" в переводе означает "общий", т.е. Компартия в СССР должна быть ЕДИНОЙ, ОБЩЕЙ, а не раздробленной на поместные автономные единицы! И каким неблагородством веет от этого неблаговидного поступка ЦК КП Грузии, опубликовавшего этот жизненно важный ДЛЯ ВСЕГО (!) НАСЕЛЕНИЯ НАШЕЙ РЕСПУБЛИКИ документ ТОЛЬКО НА ГРУЗИНСКОМ Языке, так же как и Г.ГУМБАРИДЗЕ говорил ТОЛЬКО ПО-ГРУЗИНСКИ, выступая (очевидно, опять таки ТОЛЬКО ДЛЯ ГРУЗИН!) 16 сентября по телевидению (трансляция этого его выступления была повторена на следующий день по "Моамбе"). И весь этот проект пестрит словами "НАЦИЯ", "НАЦИОНАЛЬНЫЙ, будто население Грузии состоит только ИЗ ОДНОЙ (ГРУЗИНСКОЙ) НАЦИИ! Это-прямое предательство ленинских норм устройства Советского государства. Почти двухмиллионное негрузинское население ГССР сбрасывается Компартией со счетов? По этому поводу прекрасную статью опубликовала газета "Ленинское знамя" 28 сентября, вынеся в заголовок действительно чудесные слова В.И.Ленина "РАЗГРАНИЧЕНИЕ НАЦИЙ В ПРЕДЕЛАХ ОДНОГО ГОСУДАРСТВА ВРЕДНО". Да,именно "вредно" во всех смыслах нашей жизни и руководству нашей партии и республики, как и всему населению, не следует об этом забывать.

Где же исконное ДВУЯЗЫЧИЕ Грузии, и когда же это бывало, чтобы РУКОВОДИТЕЛЬ (!) ГССР, ГДЕ ТРЕТЬ НАСЕЛЕНИЯ - РУССКОЯЗЫЧНОЕ, выступал бы только на ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ? Чудовищно!.

Примеру ЦК Компартии Грузии (дурные примеры заразительны!) последовала и местная комиссия по расследованию событий 9 апреля, опубликовав свое окончательное заключение опять-таки ТОЛЬКО В ГРУЗИНСКОЯЗЫЧНОЙ ГАЗЕТЕ "КОМУНИСТИ" под многозначительным названием "На суд нации" (опять-таки ТОЛЬКО ГРУЗИНСКОЙ НАЦИИ) А другие нации что же не люди?! Куда же мы скатываемся, товарищи!

Мы требуем, во избежание эксцессов и естественного недовольства русскоязычного населения, во-первых, опубликовать и в русскоязычных газетах оба вышеупомянутых документа, а во-вторых, непременно пересмотреть и переработать (действительно с коммунистических позиций) этот неприемлемый для любого советского региона Проект, руководствуясь позициями интернационализма, на которых зиждется Компартия во всех странах мира и наше советское государство с тем чтобы негрузинское население ГССР ни в коей мере не ущемлялось ни в чем и было абсолютно равно с грузинским населением. Ведь только в таком случае вернутся в нашу республику "содружество наций", бытовавшее у нас в прежние времена, о которых буквально с ностальгией вспоминает и нравственно здоровая часть грузинского населения. И именно Проект не националистического развития, а равного развития всех наций и народностей, проживающих в ГССР, вызовет теплые, дружеские чуства к грузинам, исключив всякую возможность недоброжелательности во взаимных отношениях. Ведь мудрые родители никогда не станут выделять в чем-либо одного из своих нескольких детей, зная, что это вызовет неминуемую обиду и даже враждебное отношение со стороны "обойденных" детей!

Мы считаем недопустимой демонстрацией враждебного отношения к русскому языку тот факт, что русский язык практически стал исчезать из всех сфер общественной жизни ГССР! Афиши, надписи, вывески на магазинах, учреждениях, кафе и т.д. (даже в райкомах партии!) все более становится ТОЛЬКО ГРУЗИНСКИМИ, как и перечень маршрутов на автобусах, маршрутных такси и пр. Даже афиши с объявлением о гастролях Бориса Рубашкина и "Театра зверей" Натальи Дуровой фигурировали ТОЛЬКО НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ! А некоторые вывески на магазинах, афиши (о выставках и пр.) делаются по-грузински и по-английски, но только не по-русски! Совершенно исчез русский язык из передач местного телевидения (за исключением "На страже южных рубежей" и "Вестник", по одному разу в неделю!). Теперь все объявления по Грузинскому телевидению делаются ТОЛЬКО ПО-ГРУЗИНСКИ, тогда как это создавало такую спокойную, лучезарно-радостную, доброжелюбную обстановку! А теперь и сами грузины, решившие выкорчевать русский язык из общественной жизни Грузии, не блещут радостью. Это и понятно: подобные действия не приносят (и не принесут!) радости их авторам!.

И насильственное внедрение "Программы государственного грузинского языка" - не что иное, как издевательство и преднамеренное создание таких условий, чтобы русскоязычное население было вынуждено покинуть пределы ГССР (как говорил З.Гамсахурдия: "Мы должны создать русским и другим такие условия, чтобы они сами уехали отсюда".). Надеемся, что принятое на сентябрьском Пленуме ЦК КПСС постановление о статусе РУССКОГО ЯЗЫКА КАК ОБЩЕСТВЕННОГО охладит пыл зарвавшихся националистов, задавшихся целью сделать состав населения ГССР максимально однородным за счет изгнания "гостей" и "пришельцев".

Созданные недавно и Народный фронт и Общество Руставели заявляют в средствах массовой информации, что их задача - "защита интересов ГРУЗИНСКОЙ НАЦИИ" (в телеинтервью с учредительного съезда Народного фронта один из его руководителей говорил: "Мы всё думали, как назвать наш фронт: народным или национальным, и решили пока что назвать народным, но мы уверены, что в ближайшем будущем он будет назван своим настоящим именем:"НАЦИОНАЛЬНЫЙ ФРОНТ!").Даже гости из Прибалтики, присутствовавшие на съездах обеих этих организаций, выражали свое удивление по поводу отсутствия русских людей на этих съездах, а также по поводу отсутствия материалов на русском языке, и говорили, что на их съездах участвовали и русские люди, и материалы у них издаются на русском языке! Так что наши, грузинские националисты перещеголяли даже прибалтийских националистов!.

Мы все молчали, ожидая, что именно Компартия Грузии возьмет на себя "защиту интересов негрузинских наций" (поскольку "защиту интересов грузинской нации" взяли на себя Народный фронт, Общество Руставели и множество других вновь созданных организаций). Однако, нашим надеждам, как оказалось, не суждено было сбиться, и наши ожидания оказались тщетными - мы убедились в этом на примере злополучного "Проекта национального (а фактически - националистического) развития ГССР", составленного (это было видно и по "почерку" проекта) местными антисоветчиками-националистами и завизированного ЦК Компартии Грузии (да еще "тайно", "контрабандным путем", поскольку этот Проект не был представлен для обсуждения многочисленной негрузинской публике!). Получается, что мы, негрузинское население, остаемся без какой-либо юридической защиты и НАС МОГУТ БЕЗНАКАЗАННО ТОПТАТЬ ГРУЗИНЫ - ТОЛЬКО ПОТОМУ, ЧТО ОНИ ПРЕДСТАВИТЕЛИ ТАК НАЗЫВАЕМОЙ "КОРЕННОЙ" НАЦИИ!

Мы требуем также представительства в Верховном Совета ГССР ВСЕХ без исключения НАЦИОНАЛЬНОСТЕЙ, проживающих в ГССР, в зависимости от их количественного соотношения, а также протестуем против фактического изгнания рабочих и крестьян из состава Верховного Совета ГССР - известно, что определенная часть "политиков", решившая "мирным", парламентским путем осуществить ликвидацию в ГССР Советской власти, интенсивно проводит кампанию по укомплектованию "парламента" ГССР сугубо интеллигентскими кадрами, да еще с антисоветским и националистическим уклоном! Все это вызывает естественное чувство протеста у всех нас, советских людей,проживающих в ГССР.

И хочется обратиться к руководителям нашей партии с призывом:опомнитесь, товарищи, не дискредитируйте гордое звание коммуниста, не давайте, антисоветчикам-националистам растоптать тот светлый советский интернационализм, который стал НЕОТЪЕМЛЕМОЙ ЧАСТЬЮ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ! Отказавшись от интернационализма в ГССР, надо отказаться и от Советской власти,

ведь это очевидно! Национализм и Советская власть несовместимы, также как празднование в Советской Грузии для меньшевизации Грузии, т.е. дня 26 мая, установления власти меньшевистского правительства в Грузии, по приказу которого расстреливались грузинские коммунисты!

Почему оголтелые националисты-антисоветчики должны хвастливо заявлять, что оказывают давление, нажим на руководство Компартии Грузии, почему Компартия не дает бой, достойный коммунистов?

Ведь все эксцессы в Марнеули, Абхазии, Юго-Осетии - результат активизации НАЦИОНАЛИСТИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ грузинских органов власти, шедших на поводу у оголтелых националистов! А такая недальновидная политика, берущая на вооружение методы царской империи, не приведет к добру. Недавно в какой-то грузинской газете писалось: "НЕ МОЖЕТ БЫТЬ СВОБОДНОЙ НАЦИЯ, УГНЕТАЮЩАЯ ДРУГИЕ НАЦИИ!" Похоже, что именно грузинская нация решила сейчас взять на себя не свойственную ей, в общем-то, функцию угнетения других наций...

Помимо всего прочего, такая политика абсолютно не совместима с догмами христианства, поборниками которого гордо именуют себя авторы такой "нехристианской" политики...

Мы обращаемся к уважаемой редакции "Молодежь Грузии" с убедительной просьбой напечатать наше письмо, выражающее мнение (мы уверены в этом!) ВСЕГО ЗДРАВОМЫСЛЯЩЕГО НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ. Надеемся, что в нынешнюю эпоху гласности, плюрализма и ДЕМОКРАТИИ наше письмо не покажется кое-кому "кощунственным" (оно не содержит никаких антисоветских "моментов", в отличие от газеты "Тависуплеба", которая прочно и основательно подрузилась на стендах у Дома кино и у станции метро "Пл.Ленина", а также многочисленных других "неформальных" газет, продающихся "неформалами" на пр.Руставели.).

Заранее благодарны вам, дорогие товарищи!

С уважением

I.М.Алексеев
2.Б.Петрищев
3.В.Лященко
4.А.Михайлов
5.З.Цховребов
6.А.Бабаян
7. И.Каишев
8.Ц.Семенова
9.Г.Новиков
I0. В.Михайленко
II.Э.Петросян
I2.С.Перовская
I3.М.Бабанов
I4.Л.Зайцев
I5.В.Зеленин
I6.Ю.Смирнов
I7.Б.Колосов
I8.Ю.Семенюк
29.К.Шульце
20.Г.Карагезов
2I.Н.Згуриди

რედაქციისაგან:

ბეჯითად ცდილობს კრემლის იმპერია ეთნოკონფლიქტების სისხლიან მორევში ჩაძიროს ქართული ეროვნული მოძრაობა, მეტროპოლიის მიერ წაქეზებულ აფსუა და ოს სეპარატისტებს, სოხუმში შეკოწიწებულ „ინტერფრონტს"-კიდევ ერთი ინსპირებული კერა - თბილისის ე.წ. „რუსულენოვანთა" მოძრაობაც ემატება (ე.ი. ახალი „ინტერფრონტი").

ამას მოწმობს „რუსულენოვანი" მოსახლეობის წარმომადგენელთა მიერ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციაში გაგზავნილი წერილი. როგორც ჩანს, წერილის ავტორებს სასტიკად აღიზიანებთ ქართველი ერის თავისუფლებისაკენ სწრაფვა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული მოძრაობა. გაწიწმატებულები ურცხვად ცრუობენ და შხამს ანთხევენ. მათი აზრით, საქართველოს მარიონეტული მთავრობის მიერ ნაძალადევად დამტკიცებული ეროვნული განვითარების პროექტიც კი „ნაციონალისტური", „ბაქრაძისეული" სულისკვეთებისა.

წერილის ავტორებს აცოფებთ ისეთი ბუნებრივი და საყოველთაოდ აღიარებული გამოთქმა, როგორიცაა „მკვიდრი მოსახლეობა". რაკი ქართველები მშობლიური ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის რეალურად განხორციელებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძვიან, ამიტომ თურმე რუსულ ენას მტრობენ და კიდევ უფრო მეტად უნდათ „დაჩაგრონ" ისედაც „დაჩაგრული" უცხოტომელები.

მაინც რატომ არიან ისინი დაჩაგრულები, ან ვინ დაემუქრა მათ გენოციდით? რა დისკრიმინაციაზე შეიძლება საუბარი, როცა თბილისში ამდენი რუსული, სომხური, აზერბაიჯანული თუ სხვა ეროვნული სკოლაა? უმაღლესი განათლების მიღება რუსულ ენაზე ხომ ყველა უმაღლეს სასწავლებელშია შესაძლებელი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ წერილის ავტორებს არ სურთ შეელიონ იმ პრივილეგიებს, რომელიც მათ „რუსულენოვნებით" აქვთ მინიჭებული. თუ ყველა დაწესებულებაში ქართულ ენაზე იქნება წარმოება, თუ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგება, ისინი იძულებული იქნებიან ქართული ისწავლონ. მათ კი საქართველო უნდათ უქართველებოდ, ან კოლაბორაციონისტი, გადაგვარებული ქართველებით. ამიტომ არ მოსწონთ აკაკი ბაქრაძის ქართველი ერისათვის საკეთილდღეო მოღვაწეობა და ზვიად გამსახურდიას თავდადებული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის! ამიტომაა მათთვის მიუღებელი და საშიში „დუხ ბაკრადზე" ხოლო ზვიად გამსახურდიას პიროვნული დისკრედიტაციისათვის აშკარად ცრუობენ და მის სიტყვებს - ვისაც ქართული ენა და ქართველები არ ეპიტნავება საქართველოდან მიბრძანდესო, საკუთარი ცილისმწამებლური ინტერპრეტაციით იმეორებენ. როგორც წერილიდან ირკვევა, ეს თავგამოდებული „რუსულენოვანები" მიტინგებზე უსმენენ ზვიად გამსახურდიას, იცნობენ აკაკი ბაქრაძის შრომებს (ამიტომაც შეიცნეს „დუხ ბაკრადზე"), კითხულობენ საქართველოს დემოკრატიული პარტიის გაზეთ „თავისუფლებას". ერთი სიტყვით, ქართულსაც შესანიშნავად ფლობენ და ღრმადაც არიან ჩახედული ქართული ეროვნული მოძრაობის საქმიანობაში!!! ერთიც მეტად საეჭვოა და მეორეც. ვთქვათ ხელში ჩაუვარდათ „თავისუფლების" რუსული ვარიანტები, ან აკაკი ბაქრაძის რუსულად დაბეჭდილი რამდენიმე წერილი წაიკითხეს, მიტინგზე ნათქვამიც ცილაცამ უამბოთ, მაგრამ არა... მათ კარგად დამუშავებული, შესწავლილი და თანამიმდევრული ინფორმაცია აქვთ ხ[illegible]თ ქართველების საქმიანობის შესახებ. უეჭველია, რომ ამგვარი ინფორმაცია მათ მიიღეს სუკისაგან, ან სამხედრო სამინისტროს სპეცგანყოფილებებში, რომლებსაც ისინი შეგნებულად ემსახურებიან ქართველთმოძულეობის გამო. სწორედ ამიტომაა მათი წერილი სალდაფონური რუსული შოვინიზმით გაჟღენთილი, ამიტომ იმეორებენ ისინი ქართველთა მისამართით დრომოჭმულ, დახავსებულ, ბოლშევიკურ-დიქტატორულ ტერმინოლოგიას: „ნაციონალისტი", „ანტისოვეტჩიკი" და სხვ.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველი ერი არასოდეს ყოფილა დისკრიმინატორი და არც აპირებს გახდეს, ხოლო საქართველოში მცხოვრებ ყველა უცხოტომელს საკუთარი სინდისი და ზნეობა უნდა კარნახობდეს მკვიდრი მოსახლეობის ენის, კულტურის, ტრადიციებისა და მისწრაფებების პატივისცემას. ვისაც ეს არ სურს და ქართული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა აღიზიანებს, კეთილ ინებოს და მიბრძანდეს საქართველოდან!!!

გიზო კორძაძე

1989 Ꮗ. 25 თებერვლის პეტიცია

(ხელმოწერათა რაოდენობამ 50 000-ს გადააჭარბა)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ნორვეგიის, შვეციის, შვეიცარიის, დანიის მთავრობებს და ხალხს

ქართველ პატრიოტთა პეტიცია

ქალბატონებო და ბატონებო!

უკვე 68 წელია, რაც საბჭოთა მთავრობა ყოველ 25 თებერვალს ქართველ ხალხს თავს ახვევს საქართველოს „გასაბჭოების" საიუბილეო ზეიმს. 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის სფსრ ჯარების მიერ ოკუპირებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რის შედეგადაც 20 საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ქართველმა ერმა ფაქტიურად დაჰკარგა სუვერენიტეტი, საქართველო იქცა რუსული სახელმწიფოს, ანუ სსრკ-ის თვითმმართველობის არმქონე გეოგრაფიულ პროვინციად. აქ დღემდე იმყოფება რუსეთის საოკუპაციო ჯარები, ქვეყანას მართავს ცენტრისმიერი მარიონეტი კომუნისტური „მთავრობა", რომელსაც უზურპირებული აქვს ძალაუფლება და დაკაბელებული ჰყავს ქართული მოსახლეობა.

ვინაიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გმობს აგრესიას, და ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მაშინდელმა მთავრობებმა დე ფაქტოდ და დე იურედაც ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც აშკარად იქნა ოკუპირებული რუსეთის მიერ, გთხოვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შექმნათ საქართველოს დეკოლონიზაციის და აგრესიის შემსწავლელი კომისია, ქართველი ხალხისგან დეზავუირებულად მიიჩნიოთ ყოველგვარი საბჭოთა წარმომადგენლობა, პოლიტიკური, მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიოთ საქართველოს დემოკრატიულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

# გასული 1989...

1989 წლის 11 ოქტომბერს, (ოთხშაბათს), წვევამდელები იკრიბებიან ფილარმონიის წინამდებარე კიროვის ბაღში 4 საათზე. 6 საათზე შოთა რუსთაველის ძეგლთან დაიწყება წვევამდელების მიტინგი და მანიფესტაცია

მიმართვა ქართველი ახალგაზრდებისადმი

- - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

ოკუპანტთა ჯარებში სამსახური პიროვნების უდიდეს დამცირებასა და მისი ეროვნული ღირსების შელახვას წარმოადგენს. ქართველი ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს საბჭოთა არმიაში სამსახური, იმ არმიაში, რომელმაც არა ერთი ბოროტმოქმედება ჩაიდინა საქართველოს მიმართ, რომელმაც 1921 წელს სისხლში ჩაახშო ჩვენი ერის თავისუფლება, რომელმაც განახორციელა 9 აპრილის გენოციდი და რომლის ძალითაც და მუქარითაც საქართველო 68 წლის განმავლობაში იმყოფებოდა რუსეთის კომუნისტური იმპერიის მორჩილებაში. მოვის პერიოდი ჩვენ[illegible] ახალგაზრდების მორიგი იძულებითი გაწვევისა ოკუპანტთა ჯარებში და დღეს, როდესაც ერთიანად გამოიღვიძა ჩვენმა ეროვნულმა შეგნებამ საჭიროა ქართველმა ახალგაზრდობამ კარგად შეაფასოს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სამხედრო ფორმის ჩაცმა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღოს. უარის თქმა საბჭოთა არმიაში სამსახურზე, რაც ცხადია, საკმაო რისკთანაა დაკავშირებული, ჭეშმარიტად გმირული ღვაწლის დადებაა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში. ეს ღვაწლი სამუდამოდ ჩაიწერება ჩვენი ერის მეხსიერებაში, რამეთუ მის გარეშე არ აღსრულდება საქართველოს თავისუფლებაც. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ: უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში. ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამპყრობლის არმიაში სამსახურზე. ამ დიდ წამოწყებაში ჩვენი ორგანიზაციები თავიდან ბოლომდე მხარში ამოუდგებიან ქართველ პატრიოტებს და ყველაფერს იღონებენ მათი წმიდათაწმიდა უფლებების დასაცავად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდი საქმის აღსრულებაში!

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, ქრისტიანულ საქართველოს!

წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

ზვიად გამსახურდია
მერაბ კოსტავა
ირაკლი წერეთელი
ირაკლი ბათიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაშლილი მიტინგი

როგორც ვიცით, ქართული საზოგადოება ინფორმირებული იყო, რომ 23 ნოემბერს ქ. ცხინვალში ჩატარდებოდა სანქცირებული მიტინგი. ამ მიზნით განხორციელებულ იქნა წინასწარი საორგანიზაციო ღონისძიებები, კერძოდ: აქციაში მონაწილეობის მიღების მსურველთა თბილისიდან გადაყვანის უზრუნველყოფა. სანამ 23 ნოემბრის მოვლენებს შევეხებოდე, მინდა გამოვთქვა მოსაზრება იმის თაობაზე იყო თუ არა მიზანშეწონილი მრავალათასიანი მიტინგის ჩატარება ცხინვალში. ჩემი ღრმა რწმენით, ხალხმრავალი მიტინგის ჩატარება ცხინვალში არათუ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიც იყო. შევეცდები, შეძლებისდაგვარად, დავასაბუთო ეს მოსაზრება. დღეს, ყველასათვის ცნობილია, ბოლო წლებში საქართველოში ეროვნებათა შორის ურთიერთობები რომ პროგრესულად მწვავდება და შემაშფოთებელ სახეს იღებს. ამის დადასტურებაა აფხაზეთში, ქვემო ქართლში, ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესები. ერთა შორის ურთიერთობები, ცხადია, აბსტრაქტული ცნება არ არის, იგი განისაზღვრება ცალკეული ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულებით, განწყობილებებით, რასაც, თავის მხრივ, კონკრეტული მოსაზრებები, წარმოდგენები განაპირობებენ.

დღეს, პირდაპირ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე უნდა ითქვას, რომ ქართველი და ოსი საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილში, ორივე ხალხის სავალალოდ, მეტად არასასურველი, უფრო მეტიც, ურთიერთსიძულვილის, უპატივცემლობის, უნდობლობის, ეჭვის განწყობილება შეინიშნება, რის მიზეზსაც, უმეტესწილად, სიმართლის მიჩქმალვის ტენდენცია, გაურკვევლობა, სწორი ინფორმაციის დეფიციტი წარმოადგენს. ამ ხარვეზების (რომელთაც აშკარად მივყავართ არა მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ნაწილთა, არამედ მთელი ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთმტრობამდე, შუღლამდე) შევსების და შესაბამისად, ეროვნებათა შორის კონფრონტაციის თავიდან აცილების ერთ-ერთ გონივრულ მცდელობას ამ ეტაპზე, ერთიანი, ხალხმრავალი მიტინგი წარმოადგენდა, სწორედ ხალხმრავალი მიტინგი და არა ცალკეულ პირთა ან საზოგადოების გარკვეულ ნაწილთა შეხვედრები და დიალოგები, რადგან ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიცაა ეროვნებათა შორის ურთიერთობების მოგვარება, ხალხის უშუალო მონაწილეობით უნდა განიხილებოდეს, ხალხმა თავად უნდა გადაჭრას არსებული ურთულესი პრობლემები. მით უმეტეს, როცა უკვე საკამათო აღარ არის ის, რომ ეროვნებათა შორის დაძაბულობის დაძლევა, ბევრად უფრო წარმატებით, არასამთავრობო კონტაქტებით, სახალხო დიპლომატიით, პირადი ურთიერთობებით, აზრთა გაცვლით მიიღწევა. ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქ. ცხინვალში ამ მიზნით დაგეგმილი მშვიდობიანი მიტინგის ჩატარება შუქს მოჰფენდა არაერთ ბუნდოვან საკითხს და ორივე ხალხისთვის, უდაოდ, სასურველ შედეგს გამოიღებდა. მაგრამ მიტინგი არ ჩატარდა?!

ახლა მივყვეთ კონკრეტულ ფაქტებს. 23 ნოემბერს, დილის 10 საათისათვის, სპორტის სასახლიდან და კინოს სახლიდან ცხინვალის მიმართულებით ასობით ავტობუსი და მსუბუქი ავტომანქანა დაიძრა. მომიტინგეებს, გორთან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ათასობით ადამიანი შემოუერთდა.

აქციის მონაწილეთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ცხინვალში შესვლამდე, სოფელ ერგნეთთან მათ ჯავშანტრანსპორტიორები, შინაგანი სამსახურის ჯარის ნაწილები, მილიცია დაუხვდა და ქალაქში შესვლის ნება არ დართო. გაოცება თანდათან აღშფოთებაში გადაიზარდა. ამ დროს, მილიციის კორდონს მეორე მხრიდან მოადგა ცხინვალის ქართული მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დაჟინებით ითხოვდა ქალაქში ერთიანი მიტინგი ჩატარებას. შემაძრწუნებელი იყო სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველი კაცის, ორი შვილის მამის საზოგადოებისადმი მიმართვა, სადაც შექმნილი სიტუაციით უკიდურესად შეურაცხყოფილმა პროტესტი ასე გამოხატა: „მე თავს არ ვიცოცხლებ თუ დღეს თქვენ ცხინვალში არ შემოგიშვებენ და მიტინგს არ ჩაგატარებინებენ". დაახლოებით ნახევარ საათში, გარკვეული მოლაპარაკების თუ მოფიქრების შემდეგ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ ხალხს, მიტინგზე სრული წესრიგის დაცვის გარანტია მოსთხოვა. როცა საზოგადოებამ, თავის მხრივ, წესრიგის უზრუნველყოფა სათანადო შეძახილებით, ოვაციით დაადასტურა, მინისტრმა საჯაროდ განაცხადა, რომ მიტინგი ცხინვალში, სტადიონზე ჩატარდებოდა. ამის შემდეგ, გაიცა კორდონის გახსნის ბრძანება. კოლონა კვლავ დაიძრა ცხინვალისკენ, მაგრამ, ამჯერად, ქალაქის შესასვლელი აღმოჩნდა ჩაკეტილი. ქუჩა ჩახერგილი იყო სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანებით, იქვე, წინა პლანზე, შემართულნი იდგნენ ოსი მამაკაცები და ქალები, რომლებიც სამშვიდობო მისიით ჩასულ ადამიანებს, სრულიად უსაფუძვლო პრეტენზიებით, ქალაქში არ უშვებდნენ. სიტუაცია მაქსიმალურად დაიძაბა, შეიქმნა შუღლის აშკარა საშიშროება, დაუმსახურებლად შეურაცხყოფილი ადამიანების მღელვარებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. წინდახედულობა, ოპოზიციურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების უდიდესი ძალისხმევა, გამჭრიახობა რომ არა, ყოველივე, შეიძლებოდა, ურთიერთშეტაკებით, სისხლისღვრით დამთავრებულიყო, რის შემდეგაც ქართველი და ოსი ერების მეგობრობაზე საუბარი მხოლოდ თვალთმაქცობა იქნებოდა. ამასთანავე, რაც დღეს ყველაზე უმნიშვნელოვანესია, სისხლი მოაშთობდა, სამუდამოდ დაასამარებდა ეროვნულ მოძრაობას. დიახ, ხელოვნურად, ასეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა 23 ნოემბერს ქართველი ხალხი! საბედნიეროდ, განსაცდელისგან იგი, იაევ, მისმა გენეტურმა თვისებამ - მაღალმა ზნეობამ - იხსნა.

აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ 23 ნოემბრის მოვლენებმა ცხადყო; ერთი მხრივ - საქართველოს ხელისუფლების უუნარობა, უმწეობა ისეთი უმნიშვნელო საკითხის გადაჭრის დროსაც კი, როგორიცაა საკუთარ ტერიტორიაზე მშვიდობიანი მიტინგის ჩატარების უზრუნველყოფა; ხელისუფლებას არ სურს და არც ძალუძს დაიცვას თავისი ხალხის ინტერესები, ამდენად, ხალხს არ უნდა ჰქონდეს არსებული მთავრობის იმედი; ქართველ კაცს წართმეული აქვს თავის მიწა-წყალზე, როცა უნდა და როგორც უნდა, ფეხის დადგმის უფლება; მეორე მხრივ - ეროვნული მოძრაობის მასშტაბურობა, მისი დარაზმულობა, ერთსულოვნება არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში; მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვის და ამავე დროს, აუცილებლობის შემთხვევაში, უკანდახევის, პატივმოყვარეობის დაძლევის უნარი; ხალხისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიზანსწრაფვათა თანხვედრა; ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ, ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, ხალხის გონივრულად მართვის ნიჭი.

ეთერ მგალობლიშვილი

25 ნოემბერი, 1989 წელი

## შიდა ქართლი... შიდა ქართლი... შიდა ქართლი... შიდა ქართლი...

**საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს, ბატონ ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას ცხინვალის რაიონის (სამაჩაბლოს) სოფ. კეხვის საზოგადოებრიობის**

### მიმართვა

მოგახსენებთ, რომ 1989 წლის 23 ნოემბრის შემდეგ, რაც ქ. ცხინვალში ჩასულ მომიტინგეები არ შემოუშვეს ქალაქში, უაღრესად დაძაბული სიტუაცია შეიქმნა, თუმცა არც მანამ ვიყავით დამშვიდებულები ოსი მოსახლეობისაგან აშკარა თუ ფარული შეურაცხმყოფელი გამოხდომების გამო.

24 ნოემბერს სოფ. კეხვში უკვე შეიქმნა საგუშაგო, რომელშიც საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად პატრულობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან მოვლინებული ქართველი მილიციელები, რომლებიც ამოწმებდნენ ყველა სახის ტრანსპორტს. ამავე დღის მეორე ნახევარში დააკავეს ჩრდილოეთ ოსეთის ქ. ორჯონიკიძიდან მომავალი მანქანა გაზ-24 (სახელმწიფო ნომერი 15-15 სოა), მძღოლთან ერთად მანქანაში იყო მილიციის სერჟანტი, რომლებსაც მანქანის ძარას ქვემოდან საგულდაგულოდ ჰქონდათ დამალული ავტომატური სანადირო თოფები (2 ცალი), აგრეთვე ვაზნები, საღამოს 8 საათის შემდეგ კი სოფელში ცხინვალის მხრიდან სროლით შემოიჭრა ბეტონმზიდი მანქანა და ლაზ-ის მარკის ავტობუსი. პატრულების ნიშანზე, რომ გაეჩერებინათ, მათ სროლით უპასუხეს. ბეტონმზიდი გაიქცა, ხოლო ავტობუსის მძღოლი იძულებული შეიქნა გაეჩერებინა, რადგან გზა გადაუკეტეს სხვა სატვირთო ავტომობილით, ამას დაემატა მილიციის პუშკების მხრიდან საბურავებში სროლა; როდესაც ავტობუსიდან მგზავრები გადმოიყვანეს, რომელიღაც მათგანმა მოასწრო პისტოლეტის გადაგდება, რომელიც მაშინვე იქნა აღმოჩენილი. გაჩხრეკის შედეგად აღმოვაჩინეთ ვაზნების მჭიდი (მაკაროვის სისტემისა), ხოლო ავტობუსში - გასროლილი მასრები, ამის გამო, იძულებული შევიქენით მგზავრები დროებით მოგვეთავსებინა სკოლის სპორტულ დარბაზში, ცალკეულ მგზავრებს აღმოაჩნდათ ცივი იარაღი. მგზავრთა შორის იყვნენ ქალებიც, რომლებიც მოვათავსეთ სოფ. კეხვში მცხოვრები მიხეილ ზანგალაძის ბინაში. სათანადო დაკითხვების შედეგად მეორე დღეს ყველანი გავამგზავრეთ საკუთარ სახლებში, მათ მიმართ არავითარ ძალადობასა და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ ამას! როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ჩვენამდე მეზობელ სოფ. აჩაბეთში ამავე ავტობუსიდან თავის არეში მიაყენეს ჭრილობა ახალგაზრდას, გვარად ჭულუხაძეს.

27 ნოემბერს ღამის საათებში სოფ. კეხვის საგუშაგოზე საპატრულოდ მოვიდნენ თბილისის საპატრულო საგუშაგო სამსახურის ლეგიონის სპეციალური დანიშნულების ასეულის თანამშრომლები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მოვალეობას, მაგრამ მეორე დღეს ისინი შეცვალეს შინაგანი ჯარების მოსამსახურეებმა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას უფრო ზღუდავენ, ვიდრე ტრანზიტად მიმავალ მგზავრებს, რომლებსაც ძალზე ზერელედ ჩხრეკენ. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ჯარის თანამშრომლებს სრულ უნდობლობას ვუცხადებთ და კატეგორიულად მოვითხოვთ მათ დაუყონებლივ გაყვანას; და, ისინი ისევ მილიციელებმა შეცვალონ.

საჭიროდ ვთვლით დავუმატოთ, რომ ადგილობრივი პრესა და რადიო შეურაცხმყოფელ და ცილისმწამებლურ ბრალდებებს გვიყენებს ქართველ მოსახლეობას (თუმცა, კარგა ხანია ქართულ ენაზე გაზეთს აღარ გვაწვდიან უკვე), კერძოდ, საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ვითომ ზემოთაღნიშნული ავტობუსიდან დაკავებულ მგზავრთა შორის მყოფ ქალებზე ძალა იხმარეს ადგილობრივმა მამაკაცებმა და ა.შ. კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, მიიღოთ საჭირო ზომები, რათა ქართველი ხალხის მიმართ სამაჩაბლოში აღარ გაგრძელდეს მსგავსი შეურაცხმყოფელი ბრალდებები ოსი ხალხის მიერ.

აღნიშნული მოსახლეობა რომ შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებს უნდობლობას ვუცხადებთ, მოწმობს ის ფაქტიც, რომ 30 ნოემბერს საღამოს 6 საათზე საპატრულო საგუშაგოს მიუახლოვდა ცხინვალიდან მომავალი ლუაზ-ის მარკის ავტომანქანა, რომელსაც მიუახლოვდნენ შინაგანი ჯარის თანამშრომლები და იქვე მყოფი ადგილობრივი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ თვითონ გავხდით შემდეგი ფაქტის მხილველნი: მანქანიდან ახალგაზრდა ქალმა, როგორც თვითონ განაცხადა ე.წ. "ადამონ ნიხასის" წარმომადგენელმა, დამხვდურ ჯარისკაცებს ჩამოურიგა ღვეზელი და ჩაი ოსი ერის სახელით, ამ ქალს მანქანაში თან ახლდა ორი ჯარისკაცი ავტომატებით, რომლებიც იცავდნენ მას. ამ ფაქტმა გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება... ამ დროს მათთან მივიდა იქვე მყოფი მილიციის პოდპოლკოვნიკი, რომელმაც შენიშვნა მისცა ქალს, რომ შეეწყვიტა ეს მოქმედება, რამეთუ აღნიშნული მოქმედება სიტუაციას ძაბავდა, და მძღოლს საბუთები მოსთხოვა. ამ უკანასკნელმა (ეროვნებით ოსმა) უარი განაცხადა საბუთების წარმოდგენაზე, პოდპოლკოვნიკი იძულებული გახდა მანქანის გასაღები ჩამოერთმია მძღოლისათვის, (ეს პოდპოლკოვნიკი კი აღმოჩნდა ქართველი), ამ დროს ამავე საგუშაგოზე მყოფმა მორიგე ჯარისკაცმა ჩახმახზე შეაყენა ავტომატი, მიმართა პირდაპირ მისკენ და სროლით დაემუქრა მას. საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა და მძღოლიც იძულებული გახდა საბუთები წარედგინა.

აღვნიშნავთ, რომ ყოველივე ეს პროვოკაციულად იმიტომ ითვლება, რომ აღნიშნული სოფელი აბსოლუტურად ქართველებითაა დასახლებული. კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვითხოვთ აღნიშნული ჯარის ქვედანაყოფები დაუყონებლივ გაყვანილ იქნას სამაჩაბლოდან.

მიმართვას ხელს აწერს სოფ. კეხვის 36 მცხოვრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო დიქტატურის ალყაში

1981-1988 წლებში სამხედრო უწყებებზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობი (ქალაქის საბჭოს თანხებით)

**1981 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -4503.4 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1452.5 კვმ |
| 8-ე პოლკი | -816.1 კვმ |

**1982 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -7951.8 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1937.8 კვმ |
| 8-ე პოლკი | -863.0 კვმ |

**1983 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -5182.5 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1947 კვმ |
| 8-ე პოლკი | -802.2 კვმ |

**1984 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -5878.8 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1798.4 კვმ |
| 8-ე პოლკი | -803.4 კვმ |

**1985 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -5963.3 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1901.7 კვმ |
| 8-ე პოლკი | -800.3 კვმ |

**1986 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -5211 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1586.5 კვმ |
| ს/ხ -3405 | -750.2 კვმ |
| ს/ხ -61615 | -383.6 კვმ |

**1987 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -3577.0 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -1452.7 კვმ |
| ს/ხ 34-05 | -430 კვმ |
| ს/ხ -61615 | -80.7 კვმ |

**1988 წელი**

| | |
|---|---|
| სამხედრო ოლქი | -4927.2 კვმ |
| სასაზღვრო ოლქი | -2252.0 კვმ |
| ს/ხ 34-05 | -1219.8 კვმ |
| ს/ხ 61615 | -396.1 კვმ |

1981-1988 წლებში სამხედრო უწყებებს გამოეყო 64800 კვმ საცხოვრებელი ფართობი, ხოლო წილობრივი წესით ჩარიცხული თანხით 38964.0 კვმ.

სულ მთლიანად გამოეყო 1037640.0 კვმ. დაახლოებით 3000 ბინა სადაც 12000 კაცი შესახლდა. სამხედრო უწყებები საცხოვრებელ ბინებს სამეურნეო წესითაც აშენებენ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის ცნობილი არაა თუ რა რაოდენობის საცხოვრებელ ფართობს ფლობენ სამხედრო უწყებები.

1989 წელს ტალინის საქალაქო საბჭოს სესიამ არ გამოუყო არც ერთი ბინა სამხედრო უწყებებს.

1989 წელს უნდა აშენდეს 1200 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართობი.

სამხედრო უწყება ითხოვს 10 ათას კვმ ფართობს. საქალაქო საბჭო თანახმაა გამოუყოს 4 ათასი კვმ.

ქ. თბილისში კომუნალური და კოოპერატიული ბინებით დასაკმაყოფილებლად აღრიცხვაზეა 70 ათასი ოჯახი; მათ შორის 14 ათასი ოჯახი - არაქართველია.

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
თბილისი, მთავრობის სახლი

ამხ. ამხ. ო. ანდრიაძეს, ა. გასიევს, რ. დოლიძეს, გ. კუხალეიშვილს, ო. ჯინჭველაძეს, ა. გასანოვს, თ. დალაქიშვილს, გ. შიხაშვილს

გთხოვთ მტკიცედ იხელმძღვანელოთ საქართველოს კპ ცკ-ის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წ. 12 ნოემბრის №778-31 და 1985 წლის 4 ივნისის №409 დადგენილებებით და უზრუნველყოთ სამხედრო მომსახურეთათვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფაში არსებული დავალიანების ლიკვიდაცია.

1990 წლის 1 იანვრისათვის მოახსენეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ მითითების შესრულების შესახებ.

ამხ. ი. ანდრიაძეს

გთხოვთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებთან ერთად განიხილოთ:

-საუწყებო სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის საკითხი;

-თბილისის საარტილერიო სასწავლებლის გადაადგილების საკითხი და წარმოადგინეთ წინადადებები.

ნ. ჭითანავა

26 ოქტომბერი 1989 წ.
№170/62

ამონაწერი
----------

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეს ამხ. ნ. ჭითანავას

თანახმად თქვენი დავალებისა ჩვენს მიერ განხილულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს 1989 წლის 24 აგვისტოს სხდომაზე წამოჭრილი საკითხები და მოგახსენებთ შემდეგს:

12. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობითაა უბინაო ოფიცრები და პროპორშჩიკები, განსაკუთრებით ქ. თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი ითხოვს გამოუყონ ქალაქში მიწის ნაკვეთები საუწყებო სახლების ასაშენებლად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილოს საკითხი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებთან ერთად და გაუწიოს მათ საჭირო დახმარება.

ამასთან ერთად დირექტიული ორგანოების დადგენილებებით საბჭოთა არმიის სამხედრო მომსახურეებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ყოველწლიურად უყოფენ გარკვეული რაოდენობის საცხოვრებელ ფართობს, მაგრამ იმის გამო, რომ საბინაო მშენებლობის გეგმები ყოველთვის არ სრულდება წარმოიქმნა მნიშვნელოვანი დავალიანებანი სამხედრო მომსახურეებისათვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფაში, რომლის რაოდენობა შეადგენს ქ. თბილისში - 2426 კვმ, ქ. ცხინვალში - 400 კვმ, ქ. ბათუმში - 463 კვმ, ქ. ფოთში - 177 კვმ და ა.შ.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება ასევე დირექტიული ორგანოების დადგენილება დახურულ სამხედრო ქალაქებიდან საბჭოთა არმიიდან დათხოვნილი პირების გამოსახლების შესახებ.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ ასრულებენ სახელშეკრულებო პირობებს სამხედრო უწყებისათვის წილობრივი მონაწილეობით აშენებულ საცხოვრებელ სახლებში ბინების გამოყოფაზე.

საჭიროა მკაცრი მითითება სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებისადმი, რომ გაითვალისწინონ სამხედრო მომსახურეთა მძიმე საცხოვრებელი პირობები და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათთვის კუთვნილ საცხოვრებელი ფონდის დროულად გამოყოფის საკითხს.

II. დასმულია საკითხი დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მოთავსებული თბილისის საარტილერიო სასწავლებლის გადაადგილების შესახებ.

ამჟამად არსებული სასწავლებლის შენობები ვერ პასუხობენ სასწავლო დაწესებულებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს იმის გამო, რომ არ არის სასწავლო კლასების, ლაბორატორიების და საცხოვრებელი შენობების საკმარისი ფართობები.

ამასთან ერთად სასწავლებლის გადატანაში დაინტერესებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიც.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს აღნიშნული საკითხი და წარმოადგინოს სათანადო წინადადება.

| აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილება | საერთოსამშენებლო განყოფილება | მეორე განყოფილება |
|---|---|---|
| ზ. გეგეჭკორი | მ. ჩაჩანიძე | ბ. კაციტაძე |

---

რედაქციისაგან:

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ, ისევე, როგორც ბოლშევიკური იმპერიის ამჟამად უკვე «პერესტროიკად» წოდებული პერიოდის მრავალმა არაფრისშემცველმა «დისკუსია-ფორუმმა», კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ არსებული ხელისუფლება ტოტალიტარიზმისა და დიქტატურის პოლიტიკისაგან არასოდეს გადაუხვევს...

გთავაზობთ ყრილობის მსვლელობის დროს დარბაზში გავრცელებულ ერთ-ერთ პროკლამაციას თარგმანის გარეშე (რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე), რამეთუ ამ «დოკუმენტის» ქართულად თარგმნა, უზნეობად ჩავთვალეთ.

## ТРЕБУЙТЕ ПРАВДЫ О ТБИЛИСИ!

По данным экспертов Организации Объединенных Наций тт. Лошадкина Н. А., Горбовского А. Д., а также множества комиссий (советских и международных)

### НИ НА ОДНОМ ТЕЛЕ

погибших в Тбилиси 9 апреля 1989 года

### КОЛОТЫХ, РУБЛЕНЫХ, РАЗМОЗЖЕННЫХ РАН НЕТ!

**Ужасы с окровавленными лопатками — вымышленны.**

### КЕМ И ЗАЧЕМ?

Огнестрельные ранения мирному населению нанесены оружием невоенного образца!

Эксперты категорически отрицают возможность смерти людей из-за применения химических веществ!

Они приводят непровержимые доказательства того, что:

— специально обученные боевики готовились к сопротивлению;

— в ряде точек боевики опрокинули войск., по их словам «устроили кровавую баню».

Итак, невинными жертвами войск названы отряды хорошо подготовленных боевиков.

Люди погибли не от рук военных, а были раздавлены сопротивляющейся толпой.

**ТРЕБУЙТЕ ДАННЫХ, ТРЕБУЙТЕ ПРАВДЫ!**

Не сказок и инсинуаций, а фактов, аргументов и точных цифр!

Почему не прерывается цепь лжи?

Почему лгут некоторые депутаты?

Почему и кто заинтересован, чтобы всю ответственность свалить на военных?

Почему вдохновители национализма и экстремизма стали героями?

Требуйте показа ленинградской передачи от 8 декабря 1989 года по Центральному телевидению!

Требуйте объективных данных, всеобщей гласности расследований, проведенных специалистами!

Требуйте фактов, а не измышлений!

ТРЕБУЙТЕ ПРАВДЫ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოძრაობა და მოძრაობა...

შემოთავაზებული ინტერვიუ რამოდენიმეგზის იყო ჩაშვებული (ოფიციალური პრესის ფურცლებზე) გამოსაქვეყნებლად, მაგრამ... რედაქციამ იგი 1989 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მიიღო.

„ქართვლის დედას" რედაქცია

ჩვენი ცხოვრება იმდენად დაძაბულია და იმდენი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება, რომ არავისა აქვს უფლება განზე გადგეს, მაყურებლის პოზიცია დაიჭიროს და არა იზრუნოს მომავლისათვის.

კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, რუსლან მიქაბერიძე მკითხველის თხოვნით მოვიწვიეთ რედაქციაში.



1990 წლის 9 ოქტომბერი, თბილისი აეროპორტი, ღვთისმშობლის ივერის ხატის ჩამობრძანება საქართველოში

–ბატონო რუსლან, თითქმის ყველა პოლიტიკურ მიტინგზე გხედავთ; რამ განაპირობა თქვენი ასეთი პოლიტიკური გააქტიურება?

–მე იმ დღეებსაც ვდარდობ, მე იმ დღეებსაც ვნაღვლობ, რომლებიც გამოვტოვე და ჩემს გასაკეთებელს სხვა აკეთებდა: ის ხალხი, ჩვენზე გაცილებით ადრე რომ დაიწყო მოძრაობა და ბოლშევიკური კატორღის სუსხიც იწვნია. მცირერიცხოვანი ერის შვილს (ალბათ, მრავალრიცხოვანისაც, თუმცა, ეს იმათი საქმეა), რა ხელობისაც არ უნდა იყოს, უფლება არა აქვს პოლიტიკაში გაურევლად იცხოვროს. მაშინ ის არ არის მოქალაქე, პიროვნება და, როგორც დიდი ილია იტყოდა, კაცი, ყოველგვარი კაცურის დამატების გარეშე. ჩემი პოლიტიკაში ჩარევა მე თვითონ ასეთი ეპიგრამით ავხსენი: რაც უნდა ბევრი დაგიკრან ტაში, ასწი–დასწიონ ხშირ–ხშირად ფარდა, არა ხარ კაცი, თუ არ გაწუხებს სხვა სატკივარი, როლების გარდა.

–ბატონო რუსლან, როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?

–ჩემს მიერ საქართველოს მომავალზე აზრის გამოთქმა ვინმეს შეიძლება პრეტენზიულად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც, როგორც ერთ ქართველთაგანს, მეცა მაქვს ამის უფლება. ვიდრე საქართველოში არ აღდგება ქრისტიანული დამოკიდებულება შრომისა და ბრძოლის მიმართ, საქართველოს არ ეშველება, რადგან ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, ვერც ერთი საზოგადოება ისეთი სიღრმით ვერ დაიტევს ყველა ეროვნულ პრობლემას, ყველა სატკივარს, როგორც ამას ხედავს და განაგებს ღმერთი. ლაპარაკია არა რიტუალების ზერელე შესრულებაზე, თუნდაც უამრავი ეკლესიის გახსნაზე, არამედ ჭეშმარიტ რწმენაზე, ქრისტიანული წესით ცხოვრებაზე, რამაც გადაგვარჩინა და მართალია, გალახული სახით, მაგრამ დღემდე მიგვიყვანა. ამაში კი, პრაქტიკულად აი, რას ვგულისხმობ: პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ბავშვი უნდა სწავლობდეს ქრისტეს მცნებას, ქართულ ღვთაებრივ გალობას და როკვას, რომელიც ღმერთთან ურთიერთობის უპირველესი საშუალებაა, სრულად სწავლობდეს თავისი ქვეყნის ისტორიას, ლიტერატურას, მიწასთან ურთიერთობას, სკოლის ასაკშივე უნდა მოიხილოს სრულიად საქართველო, ყველა მისი ნაციხარი და ნატაძრევი, მაშინ ის ძალიან ძნელად მიიკარებს უცხო გავლენას და მშობლიურ ჰანგებგამოვლილი, მშობლიურ ლექსებგამოვლილი გაუტეხელი სული იქნება სამშობლოს სამსახურში. რადგან, როდესაც სიკვდილის შიში ქრება და სულის უკვდავების რწმენა ჩნდება, იმ წუთიდან იბადება სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანი. ამ საკითხზე ჩემს მოსაზრებას კვლავ ლექსით შევაჯამებ, რადგან ასე უფრო მეხერხება აზრის თავმოყრა:

არც ვინმე მტერი გარეშე,
არც რიცხობრივი სიმცირე,
შიშია ერის სამარე,
გაბედულების სიძვირე,
ჩვენ უზნეობა დაგვღუპავს,
უღმერთო სულის სიმწირე.

–რას იტყოდით მრავალპარტიულ სისტემაზე საერთოდ, კონკრეტულად საქართველოში დღეს, და რას უქადის იგი ჩვენს სამშობლოს?

–გასაგებია, თქვენი შეკითხვა მომდინარეობს იქედან, რომ ამჟამად, ჩვენი ეროვნული მოძრაობა ერთგვარად დაქსაქსულია; და ამით მტერი ძალიან სარგებლობს, რის გამოც ძალიან აგვიანდება ჩვენს ერთ მუშტად შეკვრას. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ბუნებრივი დუღილის პროცესია, რომლის ხელოვნურად დაჩქარება შეუძლებელია და ხელოვნურად რაღაცა შუალედური რგოლების გარბენამ რა შედეგიც მოგვიტანა, ძალიან კარგად ვნახეთ (ფეოდალიზმიდანკინაღამ კომუნიზმში რომ ამოვყავით თავი!) ამიტომ, როგორც ყურძნის დამწიფების და ღვინის დაყენების დაჩქარება არ შეიძლება (მე მხედველობაში არა მყავს ფალსიფიკატორები). ასევე არ შეიძლება ნაძალადევი, ხელოვნური კონსოლიდაცია. ჩვენს გაერთიანებას მოიტანს ჩვენი წაბორძიკება, ზოგჯერ წაქცევაც. წამოდგომა და ერთად გზის გაგრძელება. ასე რომ მრავალპარტიულობა უფრო სწორად, ნამეტანი მრავალპარტიულობა მძიმე და მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელი.

–თქვენ თვლით, რომ მრავალპარტიულობა არ არის საჭირო?

–არა, თქვენ ვერ გამიგეთ... მე ვთვლი, რომ ასე უსაშველოდ ბევრი პარტია არ არის საჭირო. როდესაც ეს პროცესი დაიწმინდება, დარჩება პარტიების მინიმუმი, რომლებიც წაიღებენ საქართველოს პოლიტიკურ ტვირთს.

–რადგან საქართველოს ანექსიის ფაქტი დღესავით ნათელია, საქართველო მიიღებს ნანატრ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას?

–მგონი, რომ კარგად ვიცნობ ბოლშევიკური სახელმწიფოს მორალს. ლენინის ბრძანებით 1921 წელს პეტროგრადში დახვრიტეს წითელი მუშებისა და რევოლუციონერი მეზღვაურების აჯანყება, რომლებიც მოითხოვდნენ ძალაუფლების საბჭოებისთვის გადაცემას. ძალიან კარგად ვიცით, რა მხეცობას ჩადიოდნენ სასურსათო რაზმები, როგორ აჩუქა საქართველოს ტერიტორია თურქეთს ლენინმა ბრესტ–ლიტოვსკის ზავით. კომუნისტები ჩასახვის დღიდან ძალიან ენათესავებოდნენ ყველა დანარჩენ – ისლამურ თუ სხვა იმპერიებს. თავს აღარ შეგაწყენთ სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის და ბოლოს, აგერ, შუა გარდაქმნაში 9 აპრილს ჩადენილი მკვლელობის შეხსენებით, ეს იმპერია თავისი არსით უზნეოა და სისხლიანი. ამიტომ, ამ ლოგიკით თითქოს ჩვენ არ უნდა ველოდეთ თავისუფლებას, მაგრამ იმპერიების ლპობას და ნგრევას თავისი ობიექტური კანონები გააჩნია, ძალიან რომ არ გადავიჭრა ჩემთვის არაკომპეტენტურ სფეროში (ეს არტისტის საქმე არცაა!) მხოლოდ ერთ მაგალითს გავიხსენებ. ამჟამად მონღოლეთში მილიონ შვიდასი ათასი კაცი ცხოვრობს (იმ მონღოლეთში, რომელმაც ერთ დროს ნახევარი მსოფლიო დაიპყრო) და აქედან მხოლოდ 20%–ია მონღოლი. ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო ალბათ დიდი მსხვერპლის ფასად, აუცილებლად იქნება თავის უფალი, ურომლისოდაც ვერც კაცი იქნება კაცი და ვერც ერი – ერი, და არც არის ღირსი! აქაც ეპიგრამით დავამთავროთ:

დიდხანს მონურად ცხოვრება,
კაცს ისე გამოაჭუკებს,
რომ ჯერა, თავისუფლებას
ვინმე ზევიდან აჩუქებს.

–საქართველოში დღეს ბევრი „ცხელი წერტილი" გაჩნდა...

–აფხაზეთის, შიდა და ქვემო ქართლის პრობლემები რუსიფიკაციის პოლიტიკის შედეგია, როდესაც რუსეთის ბატონობისგან თავს დავიხსნით, ამ პრობლემას ძალიან მოკლე დროში მოვუვლით, რადგან ჩვენ, ქართველებს, სხვა ხალხებთან თანაცხოვრების დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიცია გვაქვს. ამ ურთულეს პრობლემებს, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები მიხედავენ, მაგრამ მე ჩემი ერთი მოსაზრება მინდა გითხრათ გააფსუებული ქართველების მიმართ. მოგეხსენებათ, ქართველობა აფხაზეთში არახელსაყრელი გახდა და საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქართველებისამ ფულისთვის და თანამდებობისთვის სამშობლო გაყიდა. აი, სწორედ მათ მინდა მივმართო, თუმცა დარწმუნებული არა ვარ, რომ ხმას მივაწვდენ, მაგრამ ეს ლექსი ნაწილობრივ იმათთვისაც არის, ვინც მომავალში დააპირებს ღალატს, და უკვე გალამურებულს იქნებ, ვინმემ გადაუთარგმნოს:

შენს სახელს შთამომავალ
მოიხსენიებს ზიზღით,
ვის ჯარში დგახარ დასვრილი
დების და ძმების სისხლით,
ჯიბეში ვერცხლი ჩაგიდეს,
ჯამი გაგივსეს შხამით,
თვისტომზე ჰოლმანასვამი
მკვლელებს გამოჰყევ ღამით,
ავაი! შენ რომ არ გზარავს
უღვთოდ დაქცეული ღვარი,
ტანზე ცეცხლს რომ არ გიკიდებს
შენი ქართული გვარი,
ავაი! რომ აღარ გახსოვს
კოლხების რომ ხარ მოდგმა,
ავაი! გულს რომ არ გიკლავს
მეგრელი დედის მოთქმა.
ის, რაც სხვა ტომებს მოწია,
რუსი შენც მალე მოგწევს,
ვაი, თუ ვერც გვიან მიხვდე,
თოფი რა მიზნით მოგცეს.
მძულხარ და თან მებრალები,
მოძმე, გონება–მწირი,
არ მემეტება საშენოდ
შენი შვილი და ძირი.
ავაი! წყევლას ვიკავებ,
იქნებ, გამრთელდეს გზარი.
იქნებ, თქვან შენმა ლეკვებმა
შენი შერცხვენის ზარი.
ავაი! რითი გიყიდეს,
რის ფასად დასწვი ხიდი,
რა მოგცეს „ივანაზე",
„ოდოიაზე" დიდი?!
ავაი! როგორ გამიგებ
დედა ენასთან ყრუდ ხარ,
მე დავდუმდები, პასუხი
ღმერთს და წინაპარს უთხარ!

–რას იტყვით სკკპ ეროვნული პოზიციის შესახებ?

–მე კომპარტიის ეროვნული პლატფორმის მიმართ ისეთი აზრი მაქვს და იმდენად ანტიეროვნულად მიმაჩნია იგი, რომ ამაზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ, მოსაზრებას ეპიგრამით გეტყვით:

ყველაფერს წმინდას, ეროვნულს
რომ დაუკარგონ მთლად ფორმა,
მიტომ შეთითხნეს, ეტყობა,
ეს ვერაგული პლატფორმა.

–გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია...

–ამ კონცეფციაში ისეთი ზოგადი ფრაზებით არის ლაპარაკი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევაზე, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დაპყრობაზე, რომ გარკვევით ჩანს, არავითარ გულის აჩვილებას კრემლის მეთაურებში ეს არ გამოიწვევს. ეს არის ფანდი, საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილის დასარწმუნებლად, რომ პარტია ეროვნულ პოზიციაზე გადმოვიდა. ეს გამორიცხულია, იმიტომ, რომ ერთპარტიულ სისტემაში, სადაც ოპოზიცია არ არსებობს, სადაც პარტიას ათეული წლების განმავლობაში შეუძლია ბოროტება ჩაიდინოს და მერე ბოდიშები იხადოს, მხოლოდ სულელს შეუძლია ირწმუნოს, რომ ეს პარტია თვითონვე გამოიცვლება და უკეთესი გახდება. ეს პარტია უნდა გადადგეს და მოვიდეს სხვა, ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესების დამცველი პარტია.

–თქვენ არ გითქვამთ, დღეს არსებულ ე.წ. არაფორმალურ პარტიათაგან ძალუძს თუ არა რომელიმეს იტვირთოს ერის წინამძღოლის მისია.

–მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ პირად მოსაზრებას გამოვთქვამ. ამჟამად საქართველოში არსებულ არც ერთ პარტიას არა აქვს ძალა, ინტელექტუალური ენერგია, პროგრამა (მიუხედავად იმისა, რომ არიან ერთეული, აშკარად გამორჩეული, ღონივრად მოაზროვნე პიროვნებები, ძირითადი პარტიული მასები, რომელსაც ისინი ეყრდნობიან, ჯერ მზად არ არიან – ისინი ვერ ფლობენ სრულიად საქართველოს პოლიტიკურ აზროვნებას). რომელიც დაიტევს ყველა ქართულ სატკივარს – პოლიტიკურს, სოციალურსა და ზნეობრივს. ამიტომ უნდა მოხდეს შედარებით მსხვილი გაერთიანებების თუნდაც დროდადრო, დიდი აქციებში კოორდინაცია, გაერთიანება, ერთობლივი ძალისხმევა, რაც გნებავთ, ის დაარქვით.

–და პოლიტიკური ლიდერები?

–რადგან პოლიტიკურ ლიდერებს ახლოს არ ვიცნობ, და მათ შესახებ მხოლოდ მათ მიერ ჩატარებული მიტინგებისა და იმ ნახევრად ლეგალური გამოცემების მიხედვით შემიძლია ვიმსჯელო, სადაც მათი აზრი იბეჭდება, ამიტომ რაიმე შეფასება მიჭირს და არც კომპეტენტური იქნებოდა. მე პოლიტიკოსი არ გახლავართ. მიუხედავად ამისა, მაინც განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა; ახლა როცა თვალს ვადევნებ მათ მიერ დღემდე გამოვლილ გზას, ვთვლი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მათი თავგანწირვა, გაბედულება, (გაბედულება იმ დროს, როცა ეს ასჯერ უფრო საშიში იყო), რომ არა ზვიად გამსახურდიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, არ იქნებოდა დღევანდელი ეროვნული მოძრაობა. არ იქნებოდა 14 აპრილი, ნოემბერი და ტრაგიკული აპრილიც, რომელიც მიუხედავად მისი შემზარავობისა, მაინც ჩვენი გამოცდილებაა და მოძრაობის ახალ ხარისხში აყვანის დასაწყისი გახდა (მომიტევონ დაღუპულთა სულებმა და მათმა ჭირისუფალმა).

ვგრძნობ, რომ აცაბაცა ინტერვიუ გამომივიდა. მეც ერთი აფორიაქებული და დაბნეული ქართველი ვარ ამ უკიდურესი განწირულების ჟამს. რომელიც ჩვენს სამშობლოს უდგას, ამიტომ ისევ ლექსად ვიტყვი ჩემს სათქმელს:

ვისია ქალი ლამაზი,
ბოლოს და ბოლოს, ვისია?!
ისევ სადაო გაგვიხდა
რაც ჩემ და ჩემი ძმისია.
ჯერ რუსი შემოგვესია,
მერე სხვა წამოგვისია;
სუყველამ გულზე გვიკბინა,
უბეში ვინც ჩაგვისვია.
ვისია ტურფა ქვეყანა,
ეს მიწა-წყალი ვისია?!
იქნება, მართლა არ ვიცით,
იქნება, მართლა სხვისია,
იქებ, სულ აფხაზს ეჭირა,
ნაპირი შავი ზღვისია;
ანდა ქსანი და ლიახვი
ოსების საბრძანისია.
ან ყიზილბაშის სამშობლო
ბოლნისი და დმანისია,
მაშინ დიდ...ორი რა არი,
კრწანისი რა კრწანისია?
არმოსათმენის მოთმენა,
ძალიან საძრახისია,
გადაგვავიწყდა ნაომრებს
სისხლის გაღების მისია.
რომ აქ, მხოლოდ ის ვიგუოთ,
ვინც ჩვენთან ძმობის ღირსია
რადგანაც მიწა ჩვენს ფეხთქვეშ
მამა-პაპათა ძვლისია.
ვისია ეს საქართველო,
უნდა გაირკვეს, ვისია?!
მისთვის სიკვდილი, კაცებო,
სიცოცხლის დასაწყისია!

-ჩვენთან არს ღმერთი!
-არს და იყოს!

ესაუბრა ანა ივანიძე
9.X.1989 წ.

# მართლმადიდებლობის ზეიმი

(დასასრული. დასაწყ.იხ. „ქართვლის დედა“ № 7.)

მარხვა, რომელიც ერსა და იმავე დროს უწევდა: გვიან შემოდგომით ან შესაძლოა ზამთრის პირველ მესამედში. ასეთი მარხვა დღემდის არის მართლმადიდებლურ ეკლესიაში. იწყება ყოველთვის 15 ნოემბერს და სრულდება ზამთრის პირველ მესამედში – 24 დეკემბერს, ქრისტესშობის დღესასწაულის წინა დღეს და იწოდება ქრისტეშობის მარხვად.

ბაპტისტეში კი ასეთ მარხვებს არ სცნობენ და არ ინახავენ, რითაც როგორც ვხედავთ უფლის წინასწარმეტყველებასა და მოციქულთა ტრადიციას არღვევენ; არამედ თვითნებურად შიმშილობენ შეთქმით. ვთქვათ, არაფერს ჭამენ და სვამენ მზის ჩასვლამდე. უფალმა გვიქადაგა მარხვა და არა შიმშილი. აი კიდევ ამის დასტური: პავლე მოციქული ხშირად იყო "დარტყმებში, საპყრობილეებში, შფოთში, უძილობაში /არასწორადა თარგმნილი, უფრო ძველ და ავტორიტეტულ თარგმანებშია "მღვიძარებაში"/, მარხვაში /2 კორინთელთა მიმართ 6,5/", ან "შრომასა და გაჭირვებაში, ხშირ სიფხიზლეში /მღვიძარებაში/, შიმშილსა და წყურვილში, ხშირ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში /2 კორინთელთა მიმართ 11,27/". ჩინებულად სჩანს მოყვანილი ადგილებიდან, რომ სხვაა შიმშილი და სხვაა მარხვა და რომ მოციქული პავლე ინახავდა მარხვებს, ისევე როგორც გაჭირვებისა და დევნის გამო გადაუტანია "შიმშილი და წყურვილი... ყინვა და სიშიშვლე".

მარხვის უდიდეს დანიშნულებაზე უფალი ჩვენი იესო ქრისტე პირდაპირ გვასწავლის, იგავების გარეშე: "სახლში რომ შევიდა /იესო/ მისმა მოწაფეებმა განმარტოებით ჰკითხეს მას: ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი /ეშმაკის/ განდევნა? უპასუხა მათ: ამ მოდგმას /ეშმაკისა/ სხვანაირად არ შეუძლია გამოსვლა, თუ არა ლოცვითა და მარხვით /მარკოზი 9, 28–29/".

7/ რას ვეყრდნობით მართლმადიდებლები როცა ვნათლავთ ბავშვებს?

ახალი აღთქმის რამოდენიმე ადგილასაა მოხსენებული შემთხვევები მთლიანი ოჯახის, სახლეულის მონათვლისა, ისენია: კორნილიუსის სახლეულისა – საქმე წმიდათა მოციქულთა 10; ლუდიასი – საქმე წმ. მოც. 16, 13–15; კრისპოსის – საქმე წმ.მოც. 18,8; საპყრობილის მცველის – საქ. წმ. მოც. 16,32; სტეფანესი – 1 კორპ. 1, 16. ისე რომ ხუთი ოჯახია ხსენებული, რომელშიც ერთიანად მონათლა ყველა წევრი და რა უფრო დამაჯერებელია? ის, რომ ამ ხუთი ოჯახიდან ერთში მაინც იყო ბავშვი და თუ იყო, ისიც მოუნათლავთ მოციქულებს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, თუ ის, რომ ამ ხუთი ოჯახიდან არცერთში არ იყო ბავშვი?

გარდა ამისა, მართლმადიდებელ ქრისტიანებს მწვალებლებისაგან განსხვავებით გვაქვს ჩვევა ქრისტიანის გარდაცვალებისას მონათლოთ მისი მოუნათლავი ახლობლები და ამ შემთხვევაში ვეყრდნობით "ახალ აღთქმას". სახელდობრ, წმიდა პავლეს სწავლებას: "...თორემ რას აკეთებენ მკვდართათვის მონათლულნი? თუ მკვდრები საერთოდ არ აღდგებიან, რატომღა მოინათლიან მკვდართათვის?" /1 კორინთელთა 15,29/.

8/ სხვადასხვა ჯურის მწვალებლები /ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, იეღოვას მოწმეები/ უარყოფენ წმინდანთა შეოხებას უფლის წინაშე და ჩვენ ვეკითხებით მათ: თუ წმინდანებს ჯერ კიდევ მიწაზე, ხორცში ყოფნისას, ჰქონდათ დიდი მადლი უფლის სახელით განეკურნათ ავადმყოფები, აღედგინათ მკვდრები და მოეხდინათ სხვაც ბევრი სასწაული, რამდენად უფრო განდიდებულ არიან ახლა, როცა უკვე გამართლდნენ, ბევრი მათგანი კი ეწამა კიდეც ღვთისათვის?!

ის, რომ წმინდანთა ლოცვა აღწევს უფლის ტახტამდის, დამოწმებულია იოანეს გამოცხადებაშიც: "მოვიდა სხვა ანგელოზი და დადგა სამსხვერპლოსთან და ოქროს საცეცხლური ჰქონდა, და მიცემული ჰქონდა ბევრი საკმეველი, რათა ყველა წმინდანის ლოცვებთან ერთად მიეტანა ოქროს სამსხვერპლოზე, ტახტის წინ. და ავიდა საკმევლის კვამლი წმინდანთა ლოცვებთან ერთად ანგელოზის ხელისაგან ღმერთის წინაშე /გამოცხადება იოანესი 8,3–4/ იხილეთ ასევე: გამოცხადება 5,8 და 6,9; ფსალმუნი 140,2. უნდა გვქონდეს აგრეთვე სიყვარული და რწმენა შენ გაქვს უფალ იესოს და ყველა წმინდანის მიმართ..." /ფილიმონის მიმართ 1,5/.

9/ რისთვის იწოდება მორწმუნეთა მიერ მღვდელი "მამაოდ":

პავლე მოციქული მორწმუნეებს ჩვეულებისამებრ მოიხსენებს "შვილებად", ასევე იოანე მახარებელი: "შვილნო! დაიცავთ თქვენი თავი, კერპთაგან, ამინ! /1 იოანე 5.21/", შვილნო! უკანასკნელი ჟამია... /1, იოანე 2,18/", "მაშ ასე, შვილნო, დარჩით მასში... /1 იოანე 2,28/". წმ.პავლესთან ვკითხულობთ: "ჩემო შვილებო, რომელთათვისაც კვლავ განვიცდი მშობიარობის ტკივილებს, ვიდრე თქვენში გამოისახება ქრისტე / /გალატელთა მიმართ 4,19/", ან "ტიმოთეს, ჭეშმარიტ შვილს რწმენაში /1 ტიმოთეს მიმართ 1,2/", ან "ტიტეს ერთობლივი სარწმუნოების ერთგულ შვილს /ტიტეს მიმართ 1,4/", "გთხოვ ჩემ შვილ ონისიმეზე, რომელიც ვშვი ჩემ ბორკილებში /ფილიმონის მიმართ 1,10/", "ტიმოთეს, საყვარელ შვილს /2 ტიმოთეს მიმართ 1,2/", "ამიტომ, შენ ჩემო შვილო, იყავ ძლიერი მადლში /2 ტიმოთეს მიმართ 2,1/". თუ გალატელები, ტიმოთე, ტიტე, ფილიმონი და სხვები პავლეს "შვილები" არიან, მაშინ ვინღა იქნება პავლე მათთვის? – "მამა"! თქვენ ვერ გაკადნიერდებით ამტკიცოთ, რომ პავლე მათი "მამა" იყო – პირდაპირი – ხორციელი გაგებით, რადგან თვით პავლე მოციქული დაგვტუქსავთ და მოგვაგონებთ საკუთარი წერილებიდან, რომ იგი ქალწული იყო და სხვა მოციქულებისაგან განსხვავებით არ ჰყავდა თანამგზავრად "ცოლი დაი". მაშ რა აზრით იყო იგი მათი "მამა?" – "რწმენაში" /1 ტიმოთეს მიმართ 1,2/, ანუ რწმენის მიერ, "სახარებით", ანუ სახარების მიერ "ქრისტეში", "უფალში" – "თქვენს შესარცხვენად როდი ვწერ ამას, არამედ შეგაგონებთ, როგორც ჩემს საყვარელ შვილებს. ვინაიდან თუნდაც ათი ათასი აღმზრდელი გყავთ ქრისტეში, მამები ბევრი არა გყავთ, რამეთუ მე გშობეთ თქვენ ქრისტე იესოში სახარებით... გამოვგზავნე თქვენთან ტიმოთე, ჩემი საყვარელი და ერთგული შვილი უფალში" /1 კორინთელთა 4, 14–17/.

მღვდლებიც, ასევე იღებენ რა ეპისკოპოსისაგან საღმრთო მადლს და სახარების ქადაგებით მოაქცევენ ადამიანებს სარწმუნოებაში, ანუ შობენ რა მადლითა და სახარებით ქრისტე იესოში, სწორედ უფლისმიერ, ქრისტემიერ, "სახარებით", "რწმენით" იწოდებიან ქრისტიანობაში მოქცეულთა "მამებად", "მოძღვრებად" და არა იმ აზრით, როგორც მამაღმერთი და უფალი ჩვენი იესო ქრისტე, – ერთადერთი ჭეშმარიტი მამა ცათა შინა და ერთადერთი ჭეშმარიტი მოძღვარი.

10/ რისთვის იმსახურებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას წმინდანთა შორის:

ჯერ უკვე ის, რომ სამოთხეშივე აღთქმული, და წინასწარმეტყველთაგან მოსწავებული მხსნელი, ძე ღვთისა; ქრისტე იესო ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისაგან მოგვევლინება, – მამის სულითა და ძალით წმიდა მარიამისაგან შეისხავს ხორცს, განკაცდება – შობილი მამისაგან უდედოდ და დედისაგან უმამოდ – ღირსს ხდის მას /ქალწულ მარიამს/. განსაკუთრებული და სრულიად ამაღლებული ადგილი ეკავოს არა მარტო წმინდანთა, არამედ ზეციურ ანგელოზთა შორის; გავიხსენოთ ისიც, რომ უფალი ჩვენი იესო, ვითარცა კაცობრივი ბუნების მქონე თავის დედისაგან აღიზრდებოდა, 30 წლამდე ვიდრე ნათელს – იღებდა, მას ემორჩილებოდა /წმიდა ლუკა 3, 51/, თუმცა მალაქიას წინასწარმეტყველებით საზოგადოებრივი მოღვაწეობა წმიდა ქალაქ იერუსალიმში უნდა დაეწყო, კერძოდ, სოლომონის ტაძარში /მალაქია 3, 1–2/, მაგრამ პირველ სასწაულს ახდენს და ამით პირველ ნაბიჯს დგამს თავისი მოღვაწეობისას, – არა იერუსალიმში, არამედ კანას გალილეაში, რაკი დედა სთხოვს /იოანე 2, 1–11/. მოვიგონოთ ისიც, რომ უკანასკნელ საქმესაც დედამიწაზე თავის დედა მარიამს უკავშირებს, – ყური მიუგდეს უფლის უსაყვარლეს მოწაფეს იოანეს: "იესოს ჯვართან იდგნენ დედამისი, დედამისის და მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალინელი. იესომ დაინახა იქ მდგომი დედა და მოწაფე, რომელიც უყვარდა. დედას უთხრა: დედაკაცო, აი შენი ძე. შემდეგ მოწაფეს უთხრა: აი დედაშენი. და იმ საათიდან მოწაფემ თავისთან წაიყვანა იგი. ამის შემდეგ იცოდა რა იესომ, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა, ნაწერის აღსასრულებლად, ამბობს მწყურია... როცა იესომ მიიღო ძმარი, თქვა: აღსრულდა! დახარა თავი და განუტევა სული. /იოანე 19,25–30/".

თუკი მოწაფისაგან 30 ვერცხლზე გაყიდული იესო, ორგულთაგან დამცირებული, გაკიცხული, დამენატეხი, მშიერ-მწყურვალი, სასტიკად ნაცემი, ეკლის გვირგვინდადგმული, სისხლში ამოსვრილი, ავაზაკებს შორის ჯვარცმული ავაზაკივით მაინც დედაზე ფიქრობს და თავის საყვარელ მოწაფეს მიაბარებს, რათა უპატრონოს და მხოლოდ შემდეგ განუტევებს კაცობრივად სულს, ნუთუ მიგიღებთ სასუფეველში მათ, ვინც ამცირებთ და ღირს პატივს არ მიაგებთ დედას – მისას? ანდა აბუჩად იგდებთ მისი დედის პატიოსან გამოსახულებებს ხატებზედ?!

ღმერთმა შეგინდოთ ეგ და სხვა ცოდვები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ვედრებით! "ეკრძალეთ თავთა თქვენთა", როგორც უფალი იტყვის და გულისხმა – ჰყავთ მწვალებელნო, რომ ქრისტეს ეკლესიასთან ბრძოლა და წინააღმდეგობა თვითონ ღმერთთან დაპირისპირებაა, რადგან ეკლესია მართლმადიდებელთა „აღშენებულია მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესო – ქვაკუთხედია"/ეფესელთა მიმართ 2,20/.

ა მ ი ნ !

5 მარტი 1989 წლისა
საშინელი სამსჯავროს ხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "სასტიკი საყვედურები" საქართველოს გაზეთისათვის

### ინფორმაცია

**მარნეულის რაიონში მიწათსარგებლობის წესების დარღვევასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ**

ამასწინათ საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიონულმა კომიტეტმა თავის მორიგ ბიუროს სხდომაზე განსახილველად გაიტანა რაიონში მიწათსარგებლობის უხეში დარღვევების და უკანონო მშენებლობის საკითხი.

ბიურომ შულავერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვ.რზაევი მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევისათვის გარიცხა სკკპ რიგებიდან, გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, და მასალები შემდგომი გამოძიებისათვის გადაეცა რაიონის პროკურატურას. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა და სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით გამოეცხადა შულავერის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა — ქარხნის დირექტორს გ.დათუნაშვილს.

ყიზილ-აჯლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი რ.გუმბათოვი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან და მისი საკითხი გადაეცა რაიონის პროკურატურას.

თანამდებობიდანაა განთავისუფლებული აგრეთვე რაიონის მთავარი მიწათმომწყობი ვ.აბასოვი.

მარნეულის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ნ.პეტრიაშვილს გამოეცხადა საყვედური და უარი ეთქვა შემდგომ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ასეთივე ბედი ეწიათ მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოს დანარჩენ მოსამართლეებსაც.

პარტიის მარნეულის ბიურომ ზემდგომი ორგანოების წინაშე დააყენა საკითხი მარნეულის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ზ.გოგოლაძის განთავისუფლების შესახებ.

სასტიკი საყვედური გამოეცხადათ და საქმის ბოლომდე შესწავლამდე (20 დეკემბრამდე) იქნენ დატოვებულნი დაკავებულ თანამდებობებზე სადახლოს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მ.მამედოვი, ამავე მეურნეობის მთავარი აგრონომი ი.გოიუსუბოვი, სადახლოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯ.მამედოვი, საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობის“ დირექტორი ა.კოჯაევი.

იმის გამო, რომ ბიუროს არ ესწრებოდნენ რაიონის მთავარი არქიტექტორი ს.ჩხეიძე, ყულარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხ.ალიევი, ყულარის მეურნეობის ყოფილი დირექტორი, ამჟამად წერეთლის სასათბურე ექსპერიმენტალური მეურნეობის დირექტორი ა.კალანდაძე, მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილების ყოფილი უფროსი ა.ჯაფაროვი, მათი საკითხი გადატანილია შემდგომ ბიუროზე განსახილველად.

მარნეულის შინაგან საქმეთა განყოფილებას დაევალა 10 დღის ვადაში განიხილოს და სამსახურში დატოვება არ დატოვების საკითხი შეისწავლოს ყულარის, შულავერის, სადახლოს ყიზილ-აჯლოს უბნის ინსპექტორებისა: (მუსტაფაევი, ისმაილოვი, შამილოვი, ლავრენტიევი).

დღეისათვის მიმდინარეობს უკანონოდ მითვისებული მიწებისა და უკანონოდ აშენებული სახლების ჩამორთმევა-დანგრევის სამუშაოები. სოფელ ყიზილაჯლოში მოიშალა ქვებით შემოღობილი მიტაცებული მიწების საზღვრები. ქვები მთლიანად გატანილია ტერიტორიიდან და მიწა დაუბრუნდა მეურნეობას. ამავე სოფელში დაინგრა უკანონოდ აშენებული ერთი საცხოვრებელი სახლი. 8 საცხოვრებელი ხის ნაგებობა დაინგრა სადახლოშიც.

რაიონში შეიქმნა მიწათსარგებლობის საკითხების შემსწავლელი რაიონული კომისია, რომელიც აერთიანებს ყველა სასოფლო საბჭოს კომისიებს. კომისიებში შეყვანილნი არიან პარტიული, საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, შ.რუსთაველისა და სახალხო ფრონტის რაიონული ორგანიზაციის წევრები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აღნიშნული კომისიები 1990 წლის პირველ იანვრამდე მოახდენენ რაიონის მოსახლეობის სრულ პასპორტიზაციას, შეისწავლიან აღნიშნულ საკითხს და თავიანთ სხდომებზე რეგულარულად გაიტანენ საკითხს გაწეული მუშაობის შესახებ.

---

## ზოგიერთი სუბიექტური მოსაზრება ახლახან დამთავრებული უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

კოტე ბერიძე
„ოზურგეთის მოამბე“ – № 1, ნოემბერი, 1989 წ.

17 ნოემბერს როგორც იქნა მოიწვიეს სესია, რომელსაც თითქმის 6 თვის განმავლობაში ვითხოვდით ყველანი.

სესია დაიწყო. ბევრი დეპუტატი სავარძელსაც კი არ იქნებოდა კარგად მორგებული (დღის წესრიგის დამტკიცებაზე, რომ არაფერი ვთქვათ), რომ უკვე უმაღლესი საბჭოს ახალი თავმჯდომარე ჰყავდათ არჩეული. დეპუტატების უმრავლესობა იმაშიც კი ვერ გაერკვა, თავმჯდომარის არჩევას უყარა კენჭი, თუ ერთ-ერთ კანდიდატურად ბატონ გივი გუმბარიძის დასახელებას, ალბათ ამით იყო გამოწვეული ზოგიერთი დეპუტატის მიერ გამოთქმული მხურვალე მხარდაჭერა და „პროტესტი“, რაც ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას უფრო წააგავდა და სავსებით კანონზომიერი იყო უმაღლესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობისათვის. ასევე უსუსური იყო რამდენიმე გამომსვლელის თხოვნა, რომ ახალ თავმჯდომარეს დაეტოვებინა ცკ-ს პირველი მდივნის პოსტი. (ეს საერთოდ არ შედის სესიის კომპეტენციაში). ერთი სიტყვით წინასწარ დაგეგმილი სცენარი უნაკლოდ განხორციელდა.

ერთი შეხედვით საკვირველი იყო (ამდენი გაჭიანურების შემდეგ) საზოგადოებრიობის „დას-ისა“ და სახალხო ფრონტის ძირითადი მოთხოვნების ყოველგვარი კამათის გარეშე დაკმაყოფილება, მაგრამ ესეც ინიციატივის ხელში ჩაგდებისა და მაყურებელზე ეფექტის მოსახდენად იყო გათვლილი. როგორც გამომსვლელი დეპუტატები აღნიშნავდნენ- თითქმის აღარაფერი დარჩა სათქმელი თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ. მიუხედავად ამისა შეჯიბრი გაიმართა „რადიკალიზმში“, რაც თითქოს მოულოდნელი იყო იმ ადამიანებისაგან, ვისთანაც სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა. რა სწორად შენიშნა ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ: „სულ არ გამიკვირდება სერგო ორჯონიკიძე, რომ ამოვიდეს ტრიბუნაზე და გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს შესძახოს“ (სხვათა შორის ეს შეძახილი კინოფილმ „წიგნი ფიცისას“ რეჟისორისაგანაც ცოტა უხერხულად ჟღერდა). ზოგიერთი დეპუტატი მაინც ფრთხილობდა (ეტყობა კარგად ვერ გარკვეულიყო რა ხდებოდა), რეალურ სუვერენიტეტსა და მის განმტკიცებას მოითხოვდა (თითქოს სუვერენიტეტი რაიმე სხვას ნიშნავდეს, სუვერენოს (ლათ.) – დამოუკიდებლობა).

კიდევ უფრო საინტერესო იყო 20 ნოემბერს პროგრამა „ვრემიასათვის“ მიცემულ ინტერვიუში ქალბატონ ლანა ღოღობერიძის მიერ გამოთქმული აზრი, რომ სესიაზე მიღებული კონსტიტუციის შესწორებები უფრო მეტია ვიდრე რესპუბლიკის სუვერენიტეტი(?!) სხვა თუ არაფერი მსგავსი გამოთქმებისას ალბათ უფრო მეტი თავდაჭერილობა გვმართებს, თორემ დამოუკიდებლობაზე უფრო მაღალი კატეგორიის შემოღებითა და დაუფარავი აღფრთოვანებით შეიძლება დავაბნიოთ მსმენელი.

სესიაზე სიტყვით ოზურგეთის რაიკომის პირველი მდივანი, ბატონი თამაზ კუნჭულიაც გამოვიდა. მის მოხსენებაში თითქოს მეტად პროგრესული მოთხოვნებიც გაისმა. ერთ-ერთი მრავალპარტიულობა იყო, მეორე კი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით არჩევას შეეხებოდა. მოდით ამ უკანასკნელ მოსაზრებაზე შევჩერდეთ და ვნახოთ რა იმალება ამის უკან. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ხალხის მიერ პირდაპირ არჩევა ერთი შეხედვით შეიძლება დემოკრატიზაციის გზაზე მეტად წინ გადადგმულ ნაბიჯად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა კი არა, იმპერიის განაპირა ნაწილია მხოლოდ და საქართველოს სსრ პრეზიდენტის პოსტის შემოღება უფრო ბუტაფორიას, სიტყვების თამაშს წააგავს (სიტყვა პრეზიდენტით თავმჯდომარისადმი მიმართვა სესიაზეც ანალოგიურად ჟღერდა).

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ საქართველოს სახელმწიფოს არარსებობაში დავსვათ ასეთი კითხვა: შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ სახელმწიფოზე, რომლის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, სესიის მსვლელობის პერიოდში შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით? დღეს ასეთი შესაძლებლობა თეორიულად არსებობს, მაგრამ რეალობადაც შეიძლება გადაიქცეს მომავალში.

სახელმწიფო ჯერჯერობით ერთია – საბჭოთა კავშირი და მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო ინსტიტუტის შემოღებაა შემოთავაზებული კომპენსაციის, ხალხის არსებულ ყოფასთან შეგუების მიზნით. ამასთან ერთად ამ და მსგავსი პოსტებით საქართველოს ნაძვის ხესავით გაწყობა, საერთაშორისო წრეებში აუცილებლად შექმნის საქართველოს სსრ-ს დამოუკიდებლობის ილუზიას. ეს კი საბოლოო ჯამში არაკანონიერი გზით, ოკუპაციის შედეგად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების ლეგიტიმიზაციას მოასწავებს.

ერთ რამეზეც დავფიქრდეთ, გვჭირდება კი ხალხის მიერ არჩეული ისეთი პრეზიდენტი, რომელიც მოსკოვში ივლის იმის მოსათათბირებლად თუ როგორ მართოს საქართველო? იგივე მიზნის მისაღწევად იქნა შემოთავაზებული სესიაზე საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ კანონის დამუშავება, რაც ასევე მიუღებელია და გარდამავალ პერიოდში იმიგრაციის შესახებ კანონით შეიძლება წარმატებით იქნეს შეცვლილი.

ერთი სიტყვით, ცენტრი საქართველოს პარტაპარატის ხელშეწყობით ყველაფერს ცდილობს კანონიერი, იურიდიული სახე მისცეს საქართველოს არსებულ მდგომარეობას და გამოაცალოს ქართველ ხალხს იმპერიის კლანჭებიდან თავის დახსნის შესაძლებლობა.

კიდევ რამდენიმე შთაბეჭდილებაზე მინდა მოგახსენოთ, საქართველოს სახალხო ფრონტი სესიაზე რამდენიმე გამგეობის წევრით იყო წარმოდგენილი (სამი მათგანი პრეზიდიუმშიც იქნა არჩეული), მაგრამ მიუხედავად ამისა კანონპროექტების მიღების დროს ერთადერთი ადამიანი, ვინც კატეგორიულად მოითხოვდა (ორგანიზებული წინააღმდეგობის მიუხედავად) პრინციპული შესწორებების მიღებასა და პარლამენტული ბრძოლის მეთოდებსაც ფლობდა, ბატონი ნოდარ ნათაძე იყო. დანარჩენების ისე, როგორც ბევრი სხვა დეპუტატების სიტყვები ძირითადად ემოციებს ემყარებოდა და მიტინგზე გამოსვლისათვის უფრო იყო შესაფერი.

მთლიანობაში სესიის მსვლელობისას (განსაკუთრებით ხელმძღვანელთა გამოსვლებისას) ჩამოყალიბდა აზრი, თითქოს ყოფილი ხელისუფლება გადამდგარიყო და ახალი ხელისუფლება ნაკლოვანებებში ძველს სდებდა ბრალს, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში იყო ჩვენთვის გასაგები კანონპროექტების ტოტალური მხარდაჭერა იმ ადამიანებისაგან, ვინც ცოტა ხნის წინ სრულიად საპირისპირო მოსაზრებებს უჭერდა მხარს.

მომავალი სესიებისათვის ალბათ რიგებს შორის ადგილის გაფართოება იქნება აუცილებელი. ეტყობა თავის დროზე მშენებლებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ მომავალში დეპუტატებს დარბაზიდანაც მოუწევდათ ტრიბუნაზე ასვლა (ეს ადრე არც იყო აუცილებელი, ძველად ყველა გამომსვლელი პრეზიდიუმიდან ჩამოდიოდა), რითაც გარკვეული უხერხულობა შეუქმნეს გამომსვლელებს.

დანარჩენს, ალბათ ოზურგეთელ დეპუტატებთან შეხვედრა თუ მოვახერხეთ (სესიამდე ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ შევძელით, როგორც გვითხრეს შერცხვათ ჩვენთან შეხვედრის) შემდეგ მოგახსენებთ.

---

„ქართვლის დედას“ რედაქცია მადლობას სწირავს:

თეატრალური კომბინატის დირექციას ბადრი ყიფიანის ხელმძღვანელობით – ქვემო ქართლში, სტიქიით დაზარალებული აჭარლების დროულად ჩამოსახლებაში გაწეული სამსახურისათვის;

დოდო ეპიტაშვილსა და ნოდარ მოდებაძეს არსებულ პრობლემებში სამაგალითო თანადგომისათვის.

• • •

რედაქტორი: ცაცო ყორყოლიანი
ნომერზე მუშაობდნენ:
ქიზო კორძაძე /34-20-71/;
ა. ჟორა ფანჩულიძე /93-51-82/;
ნაზი ფაცენიძეილი /36-54-59/.